ისტორიული დოკუმენტი

როგორ აუხსნეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა რუს სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

გაზეთ „ერთობის“ 1918 წლის 14 ივლისის სარედაქციო წერილიდან ცნობილი გახდა, რომ მალევე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა წერილით მიმართა რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს.[1] წერილს ხელს აწერდნენ ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და ნაციონალური საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი.

წერილი „საგანგებო კაცის“ ხელით გაიგზავნა და მიზნად ისახავდა რსდმპ ცენტრალური კომუტეტისთვის აეხსნა ის მიზეზები, რამაც აიძულა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატია, რეალურად კი საქართველოში მოქმედი სოციალ-დემოკრატები გამოეცხადებინათ ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი საქართველოს დამოუკიდებლობა.

რუსეთში არ გაუგზავნიათ „ღია წერილი“, რადგანაც ის არ გამოქვეყნებულა ადგილობრივ პრესაში და მისი გაგზავნის შესახებ, როგორც ჩანს, ცოტამ თუ იცოდა.[2] ფაქტობრივად, წერილი კონფიდენციალურ ხასიათს ატარებდა და დანიშნულება იყო განემარტა პარტიის საოლქო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მოქმედება პარტიის ხელმძღვანელი ორგანოსათვის.

---

[1] წერილი გაიგზავნა 1918 წლის 2 ივნისს. მისი ბეჭდური ვერსია არის რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივში (ф. 5856, оп. 1, д. 669, фф. 184-189), დაიბეჭდა წიგნში: Меньшевики в 1918 году. Ответ. редакторы З. Галили, А. Ненароков. Ответ. составитель Д. Павлов. М., 1999. გვ. 512-516

[2] გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“ შემდეგ გაუბრაზდა კიდეც ქართველ სოციალ-დემოკრატებს წერილის არსებობა განგებ დამალეთ და ჩუმად გააგზავნეთო (გაზ. „ერთობა“, 23 ივლისი 1918 წ. N 153)

თუმცა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოქმედებამ თბილისიდან მიღებული გზავნილი ღია წერილად აქცია. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ გაგზავნილი წერილი უკვე ივნისის დასაწყისში დაიბეჭდა რუსეთში გამომავალ მენშევიკურ გაზეთებში[3] და გაზეთ „ნოვაია ჟიზნიდან“ გადაბეჭდეს კიდეც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“.

გაზეთმა „ერთობამ“ 1918 წლის 14 ივლისის ნომერში, როდესაც პირველად ახსენა საოლქო კომიტეტის მიერ გაგზავნილი წერილი, საჭიროდ არ მიიჩნია მისი გამოქვეყნება. „საოლქო კომიტეტის წერილში ჩამოთვლილია დამოუკიდებლობის გამოცხადების ის მიზეზები, რომელიც არა ერთხელ იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში და ამიტომ წერილს აღარ ვბეჭდავთ“, - აღნიშნავდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი.[4]

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ გაგზავნილი წერილი დაბეჭდა ქუთაისში გამომავალმა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა 18 ივლისს.[5] წერილი კარგად გვიჩვენებს თუ რა პოზიცია ჰქონდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით. ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც უკვე დამოუკიდებელ საქართველოს ედგნენ სათავეში, თავს ჯერ კიდევ განიხილავდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილად და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას იძულებით ტაქტიკურ ნაბიჯად მიიჩნევდნენ და არა „ერთა თვითგამორკვევის უფლების“ რეალიზებად, რომელიც ჩაწერილი იყო ამ პარტიის პროგრამაში. თუმცა, შემდგომ მათი პოზიცია შეიცვალა.

რსდმპ ცკ-სთვის გაგზავნილ წერილს პირველი რეაქცია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მხრიდან მოჰყვა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობის პო-

[3] პირველად გამოქვეყნდა გაზეთ Наш Голос", 1918, № 9 18 (5) ივლისი.
[4] გაზ. „ერთობა“, 14 ივლისი 1918 წ., N 146, გვ. 1
[5] „სოციალ-დემოკრატი“ (ქუთაისი), 18 ივლისი 1918 წ., N 367, გვ.2-3

ზიციის გაგებამდე, სწორედ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოზიცია გახდა ცნობილი.

გაზეთი "ერთობა" აღნიშნავდა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია და განსაკუთრებით მისი დამოუკიდებელი ფრთა თავიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას უარყოფითად შეხვდა და ამაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ღალატი დაინახა.[6] გერმანიის სოციალ-დემოკრატების უმცირესობის პოზიცია კი, რომელსაც კაუცკი და ჰაზე ხელმძღვანელობდნენ, მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის.[7]

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ რუსეთში გაგზავნილი წერილის დაბეჭდვამ "ფორვერსტში" ძირეულად შეცვალა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოზიცია ქართველი სოციალ-დემოკრატების მიმართ. წერილში აღწერილი ვითარებიდან გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა დაინახეს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ერთად ერთი საშუალება დარჩენოდათ - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, - "ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა დაინახეს, რომ გარეშე ამისა ხსნა აღარ იყო".[8] სწორედ ამ დროს საქართველოდან გაგზავნილი დელეგაცია გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ და წერილის გამოქვეყნების შემდეგ გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს წარმომადგენლებს "აღუთქვეს ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა შესაძლებლობის ფარგლებში".[9]

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წერილზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხი თბილისში ცნობილი გახდა 1918 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში. 1918 წლის 15 აგვისტოს გაზეთმა "ერთობამ" მცირე შესავლით გამოაქვეყნა "პასუხი რუსეთის სოც-დემ. მუშათა პარტიისა", რომელიც რსდმპ ცენ-

---

[6] „ერთობა“, 14 ივლისი 1918 წ., N 146, გვ. 1

[7] „სოციალ-დემოკრატი“ (ქუთაისი), 17 აგვისტო 1918 წ., N 380

[8] „ერთობა“, 14 ივლისი 1918 წ., N 146, გვ. 1

[9] „ერთობა“, 14 ივლისი 1918 წ., N 146, გვ. 1

ტრალურ ორგანოში გაზეთ "ისკრაში" იყო გამოქვეყნებული. აღნიშნული წერილი რუსულ ენაზე დაბეჭდა თბილისში გამომავალმა "ბორბამ", ასევე ქუთაისში გამომავალმა გაზეთმა "სოციალ-დემოკრატმა".

ქართველ სოციალ-დემოკრატთა გაზეთები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პასუხის გამოქვეყნებასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ საოლქო კომიტეტის წერილმა "რუსეთელი ამხანაგები" დააკმაყოფილა. გაზეთმა "სოციალ-დემოკრატმა" გამოაქვეყნა "კაჟის" ფსევდონიმით წერილი "რუსი ამხანაგების მსჯავრი". წერილის ავტორი აღნიშნავდა: "ცხადია, რუსეთის სოც-დემ. მუშათა პარტია და მასთან ერთად მუშათა კლასი ჩვენს ნაბიჯს იწონებს, იგი ჩვენთან არის და ჩვენს შეხედულებას იზიარებს. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და უძვირფასესია ჩვენთვის...".[10]

თუმცა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სახელით გამოქვეყნებულ წერილს ყურადღებით თუ გავეცნობით, ეს უფრო "გაგებით მოკიდებაა" ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიის მოქმედებისადმი, ვიდრე მოწონება. ამიერკავკასიაში განვითარებულ მოვლენებში, რუსი სოციალ-დემოკრატების აზრით, დამნაშავენი არიან ბოლშევიკები, კავკასიის დემოკრატიამ კი დაუშვა ტაქტიკური ხასიათის შეცდომები, რომელთაც "მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს". ფაქტობრივად, ასეთ შეცდომადაა მიჩნეული ჯერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, შემდეგ კი მისი "სამ ოლქათ განაწილება". რუსი სოციალ-დემოკრატების შეფასებით, ახალი ზავი, რომელიც მიიღეს კავკასიის ხალხებმა "კავკასიის სამათ განაწილების საფასურად", კიდევ უფრო მძიმე იყო ბრესტის ზავზე. როგორც ვხედავთ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას რუსი მენშევიკები დიდად არ მიესალმებოდნენ, თუმცა ამიერიდან ქართველი და რუსი სოციალ-დემოკრატების გზები გაიყო და ეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა თანდათან გაიცნობიერეს.

მალხაზ მაცაბერიძე

[10] „სოციალ-დემოკრატი“ (ქუთაისი), 17 აგვისტო 1918 წ., N 380

საოლქო კომიტეტის წერილი რ. ს.-დ. მ. პ. ცენ. კომიტეტი-სადმი

ამიერ-კავკასიის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა ღია წერილით მიმართა რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, რათა გაერკვია ყველა ის მიზეზები, რომლ;ებმაც აიძულა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია ფორმალურათ ჩამოშორებოდა რუსეთს და გამოეცხადებია ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს წერილი, რომელიც საოლქო კომიტეტმა საგანგებო კაცის ხელით გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს, ივნისის პირველ რიცხვებში დაიბეჭდა მენშევიკურ გაზეთებში და „ნოვაია ჟიზნიდან“ გადაბეჭდილ იქნა გერმანიის ს. დ. გაზეთ „ფორვერტს-ში. ეს მოხდა სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენი ამხანაგები მოლაპარაკებას აწარმოებდენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ, გერმანიის სოციალ-დემოკრატია, განსაკუთრებით მისი დამოუკიდებელი ფრთა, საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებას უარყოფით შეხვდა, რადგან მან ამაში რუსეთის ს.-დემოკრატიის ღალატი დაინახა. აღნიშნულ წერილის „ფორვერსტ“-ში დაბეჭდვამ გერმანიის ს.-დ. შეხედულება ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიაზე ძირბუდიანათ შესცვალა. მათ ამ წერილიდან გაიგეს, თუ რა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო ამიერკავკასიის ს.-დემოკრატიული პარტია, კავკასიიდან რუსეთის ჯარების წასვლამ და ბალშევიკების მუქარამ ერთის მხრით, ოსმალეთის საშიშროებამ და ამიერ-კავკასიის თათრების მუხანათობამ მეორე მხრით. ს.დემოკრატიულ პარტიას ერთად ერთი საშუალება შერჩა - საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება, ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა დაინახეს, რომ გარეშე ამისა ხსნა აღარ იყო. ამ წერილის შემდეგ ჩვენს წარმომადგენლებს თანაგრძნობით შეხვდა, როგორც გერმანიის სოც.-დემოკრატია საერთოდ, ისე დამოუკიდებელი ფრთა ამ პარტიისა და აღუთქვეს ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა შესაძლებლობის ფარგლებში.

საოლქო კომიტეტის წერილში ჩამოთვლილია დამოუკიდებლობის გამოცხადების ის მიზეზები, რომელიც არა ერთხელ იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში და ამიტომ წერილს აღარ ვბეჭდავთ.

გაზ. „ერთობა“, 14 ივლისი 1918 წ., N 146, გვ. 1

წერილი რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარ. ცენტრალურ კომიტეტს

ამხანაგებო!

ჩვენი ინიციატივით, 9 აპრილს გამოცხადდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. და ჩვენვე, ამის შემდეგ, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ინიციატივა ავიღეთ.

რომ თქვენსა და ამიერ-კავკასიის შორის მიმოსვლა ნორმალური ყოფილიყო, ეს ნაბიჯი არ იქნებოდა თქვენთვის უეცარი და გასაკვირალი. მაგრამ მიმოსვლა ჩვენ შორის აგერ ნახევარი წელია რაც შეწყდა. და ჩვენ გვეშინია, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები განცვიფრებას გამოიწვევს თქვენში.

ჩვენთვის ძვირფასია და დაუფასებელი თქვენთან მტკიცე იდეიური კავშირი.

ერთმანეთის გაგება აუცილებელი პირობაა ასეთ კავშირისა. და ამიტომ ჩვენ მოვალეთ ვრაცხთ თავს გამცნოთ მთელი სიმართლე, ჩვენი გადაწყვეტილებათა მოტივები.

როგორც თქვენ იცით, ამ შვიდი თვის წინათ, 1917 წლის ოქტომბერში, რუსის ის ჯარი, რომელიც ამიერ-კავკასიის საზღვრებს იცავდა ოსმალებისგან, ფრონტიდან გაიქცა.

მთელი ოთხი თვე გაგრძელდა ეს გაქცევა - პოლკი პოლკზე, დივიზია დივიზიაზე სტოვებდა პოზიციას.

1918 წლის თებერვლიდან ამიერ-კავკასიის საზღვრები სრულიად გაშიშვლდა, ბოლშევიკების გავლენით ფრონტიდან მიმავალი ზოგი

ჯარისკაცი მტერს უტოვებდა იარაღს და ტყვიებს, ზოგი ანადგურებდა სამხედრო ქონებას, ან რუსეთში მიქონდა, ზოგი კი დაბრუნებისას მცხოვრებლებზე ყიდდა - უმთავრესათ თათრებზე.

ფრონტზე დარჩენ მხოლოდ მოხალისენი კავკასიელი სომხები და ქართველები, რომელთათვის საზღვრების დაცვა, საკუთარ კერის დაცვა იყო, მაგრამ ამ სასწრაფოთ შექმნილ მოხალისე რაზმების წინააღმდეგ ბოლშევიკებმა დაიწყეს ბრძოლა, მონათლეს ის კონტრრევოლიუციონურათ და იმპერიალისტებისაგან მოსყიდულებათ. ბოლშევიკები ყოველკლ საშვალებას ხმაროზდენ დეზორგანიზაცია შეეტანათ ჩვენს რაზმებში და მოესპოთ მათთვის ოსმალეთთან ბრძოლის უნარი. ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა თქვენთვის მრავალი მაგალითი იმის, თუ როგორ ართმევდა ბოლშევიკთა პოლკები ჩვენს რაზმებს ზარბაზნებს, თოფებს, ტყვიის-მფრქვეველებს და ოსმალებზე ყიდდა. ჩვენ შეგვეძლო გვეამბა თქვენთვის, თუ იარაღს ძალით როგორ არ გვანებებდენ სამხედრო მასალის - ტყვიების და თოფის წამლის ევაკუაციას, როგორ ააფეთქეს საწყობების ნაწილი და ნაწილი ოსმალეთს გადასცეს. აი ასეთ მდგომარეობაში ვიკისრეთ ჩვენ რუსის ჯარის მიერ მიტოვებულ ფრონტის დაცვა.

ამ დროს, ოქტომბრიდან თებერვლამდე, ამიერ-კავკასიაზე შეუჩერებლათ გადადიოდენ ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცები. ეს ბრბო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ამიერ-კავკასიისთვის, სოფლებს და ქალაქებს დარბევით ემუქრებოდენ. ბოლშევიკები, რომელთაც არავითარი გავლენა არ ქონდათ ამიერ-კავკასიის მუშებში და გლეხებში, შეეცადენ ძალა-უფლება ხელში ჩაეგდოთ ამ ჯარისკაცების საშვალებით. ბოლშევიკები ცდილობდენ, რაც შეიძლება მეტ ხანს გაეჩერებიათ გამოქცეული ჯარისკაცები ამიერ-კავკასიის საზღვრებში, აღიზიანებდენ მათ ამიერ-კავკასიის ხალხზე. სურდათ დაყრდნობა ამ უვიც ბრბოზე და ამით თფილისის ხელში ჩაგდება. აი ასეთ მდგომარეობაში, იმ დროს როცა მტერი შემოჭრას გვიქადიდა, ბოლშევიკების მუქარის დროს და ტეხნიკურ საშვალებებს მოკლებულნი, ამიერ კავკასიის საზღვრების დაცვის ორგანიზაციის მოწყობა დავიწყეთ.

ამ საქმის მთელი სიმძიმე დააწვა ჩვენ ბეჭებს, ჩვენს პარტიას და რომ ამ საკითხის მთელი სიმძიმე გაიგოთ, თქვენ ამხანაგებო, ნათლათ უნდა წარმოიდგინოთ რა მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის საზღვრების დაცვას.

ამიერ-კავკასიისთვის თავდაცვას მნიშვნელობა აქვს არა მარტო რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის, არამედ თავისუფლების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. თავდაპირველათ ეს არის ამიერ-კავკასიის ხალხთა ფიზიკურ არსებობის შენარჩუნების საკითხი, რადგან ამიერ-კავკასიის საზღვრებში ოსმალების შემოსვლას მოყვებოდა არა მარტო დამონება, ხალხთა ფიზიკური გაწყვეტაც კი, უმთავრესად სომხების.

ამიერ-კავკასიის საზღვრების დაცვა დააწვა მხოლოდ ქართველებს და სომხებს, ამ ორ პატარა ხალხს, მაშინ როცა მაჰმადიანებმა, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ ამ.-კავკასიაში უარი განაცხადეს ერთ მორწმუნეთა წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთიდან ბოლშევიკების დახმარებაზე ჩვენ იმედი არ გვქონდა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი და ყველასგან მიტოვებულთ ჩვენ არ ვკარგავთ იმედს, რომ რუსეთის დემოკრატია აღსდგება. ჩვენ ყოველ მსხვერპლზე თანახმა ვიყავით, ოღონდ რუსეთის მთლიანობის აღდგენის საათი მოახლოვებულიყო. ამ მოსაზრებით, ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია ყოველ საშვალებას ხმარობდა, რომ ფორმალური სახელმწიფოებრივი კავშირი ამიერ-კავკასიასა და რუსეთს შორის დარჩენილიყო. და როცა ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მიიღო მოწოდება ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღო, ჩვენ მოვალეთ ჩავთვალეთ თავი ჩაგვეთვალა ეს მოლაპარაკება მთლიან რუსეთის თვალსაზრისით. მივიღეთ რა მხედველობაში ის, რომ ჩვენი მონაწილეობა ამ მოლაპარაკებაში ნიშნავდა დამფუძნებელ კრების უფლებათა შემცირებას, ჩვენ გადავწყვიტეთ არ გაგვეგზავნა ამიერ-კავკასიის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკში. ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, რადგან დამოუკიდებელი წარმომადგენლობა და მისი კარგი შედეგი ვერ გამოისყიდდა ჩვენს თვალში დამფუძნებელ კრების წინააღმ-

დეგ წასვლას. მაგრამ რაც დრო გადიოდა და ბოლშევიზმის წყალობით რუსეთი იხრწნებოდა, ამიერ-კავკასიის დემოკრატიას უხთებოდა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელნიც ნიშნავდენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ განმარტოებას.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ შეგვექმნა ჯარი და რუსეთთან ფორმალურათ კავშირი არ გაგვეწყვიტა, მაგრამ დიპლომატიური დამოკიდებულება და ურთიერთობა გარეშე ქვეყნებთან დამოუკიდებლობის გამოუცხადებლათ შეუძლებელი იყო.

ჩვენ დავიცავით ბოლშევიკების მიერ გათელილი დამფუძნებელი კრების უფლებები და ჩვენი წარმომადგენელი არ გავგზავნეთ ბრესტ-ლიტოვსკში. მაგრამ, როგორც თქვენ იცით ამხანაგებო, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკება დასრულდა მთელი რუსეთის და კერძოთ ამ.- კავკასიის ღალატით: ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით ყარსის და ბათუმის ოლქები ოსმალეთს გადაეცა.

თქვენთვის, ამხანაგებო, ძნელია იმის წარმოდგენა თუ რა მახვილი ჩასცა ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის თავდაცვას. ბოლშევიკურ ხელშეკრულობის მიზეზით ამიერ-კავკასიას მოაკლდა საუკეთესო ციხე-სიმაგრეები და ბათუმის საუკეთესო ნავთ-სადგური და ბათუმი, რომელიც დასავლეთ ამ.-კავკ. კულტურის აკვანია. ამავე დროს ჩვენ ხალხთა შორის დაითესა უთანხმოება და ოსმალეთს ამით ვითომდა უფლებები მიეცა ჩვენზე. ამიერ-კავკასიაში, რომელსაც წინასწარ ბოლშევიკებმა აყარეს იარაღი, ბრესტ-ლიტოვსკში საბოლოოთ გადასცეს ოსმალეთს. მაშინ ჩვენ დავაპირეთ სასტიკი წინააღმდეგობის გაწევა.

31 მარტს შევწყვიტეთ მოლაპარაკება ოსმალეთთან და უთანასწორო, სასიკვდილო ბრძოლის წინ, რომელიც ჩვენ მოგველოდა, დახმარების მოწოდებით მოგმართეთ თქვენ, ამხანაგებო. ჩვენ გვწამდა, რომ ძახილს გამოეხმაურებით თქვენ. ჩვენ ვთხოვდით რუსეთს დახმარებას პურით, იარაღით და კაცებით.

მაგრამ ჩვენ მოწოდებას არ მოუღწევია თქვენამდი, ამხანაგებო. ჩვენი მომართვა რადიოთი ბოლშევიკებმა დააკავეს. სწორეთ ამ დროს მოსკოვსა და პეტროგრადში ბოლშევიკებმა ამიერ-კავკასიის „მენშევი-

კების სიმხეცის“ წინააღმდეგ კამპანია მოაწყვეს. სწორეთ ამ დროს დაიწყეს ჩვენსკენ მომავალ მოხალისეთა დახვრეტა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამავე დროს თავდაცვის წინააღმდეგ ბოლშევიკები ჩვენში ძლიერ აგიტაციას ეწეოდენ. ისინი, შეიძლება მათდა უნებურათ, ოსმალეთის კომისარებთან შეთანხმებულათ მოქმედებდენ და ცდილობდენ ზურგში ჯარი აეჯანყებიათ. ბოლშევიკების ასეთ ნაბიჯს მიემხრო ჩვენი მხარის ყველა შავ-რაზმული ელემენტი და დეზერტირები. ზოგან მათი გამოსვლა მათდა სასარგებლოთ თავდებოდა. ჩვენ პატარა და ბრძოლით მოქანცულ რაზმებს მრავალი საფრთხე უდგა წინ.

ჩვენ ვიკრეფდით ყოველ ღონეს ოსმალებთან საბრძოლველათ, ვიბრძოდით მათ წინააღმდეგ ფრონტებზე და იმავე დროს გვიხდებოდა წითელი გვარდიის გაგზავნა შინაურ მტერთა წინააღმდეგ, შინაურ მოღალატეებთან განსაკუთრებით იბრძოდა თფილისის წითელი გვარდია, რომელიც საუკეთესო ნაწილს შეადგენს ჩვენი შეიარაღებულ ჯარისას. ჩვენ გვიხთებოდა ოსმალებთან ბრძოლა არა მარტო ტეხნიკურ საშვალებას მოკლებული, არამედ შინაურ უთანხმოებით ხელ ფეხთ შეკრული, განსაკუთრებით ხელს გვიშლიდა ოსმალეთთან ბრძოლაში ბაქოს ბოლშევიკების პოლიტიკა.

აქ ბოლშევიკებმა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ ისარგებლეს ნაციონალურ შუღლით, რომელიც ამიერ-კავკასიის უბედურებაა.

სამოქალაქო ომი, რომელიც რუსეთში გააჩაღეს ბოლშევიკებმა, ბაქოში ერთა შორის ხოცვა ჟლეტათ გადააქციეს. ყველაზე უფრო დაზარალდენ ამ ჟლეტაში თათრის მუშები; ათასობით იყვნენ ისენი მოკლული და დახვრეტილი ბოლშევიკების მიერ.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიას თავის დროზე არ შესწევდა ძალა ჩაექრო ბოლშევიკების გამოსვლა ბაქოში, ამ მოვლენამ მაჰმადიანთა მასაში დაბადა ის მომაკვდინებელი ილიუზია, რომ მხოლოდ ოსმალეთს შეუძლია მათი ხსნა. ეს ილიუზიები ყველაზე უფრო საშიში იყო ამიერ-კავკასიის თავდაცვის საქმისთვის, რადგან ამიერ-კავკასიის მაჰმადიანები წინათაც მიიწევდენ ოსმალეთისკენ.

ასეთ პირობებში ჩვენი ბრძოლა ოსმალეთთან უთანასწორო იყო. დამარცხების შედეგი ის იყო, რომ ჩვენ იძულებული გავხდით მიგვემართა ისევ დიპლომატიურ მოლაპარაკებისთვის და რომ ხელები გახსნილი გვქონოდა ოსმალეთის გარდა სხვა სახელმწიფოებთანაც გვქონოდა საქმე, ჩვენ იძულებული ვიყავით 9 აპრილს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებია. ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაგვეცვა: ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამ ნაბიჯით ამიერ-კავკასიის საზღვრებში შევინარჩუნებდით მაჰმადიანებს, რომელნიც ოსმალეთის ორიენტაციას ადგენ.

ამ ნაბიჯით ჩვენ არ ვცდილობდით კავშირი გაგვეწყვიტა თქვენთან. ჩვენ მხოლოდ ფორმაში ჩამოვასხით ის, რაც ჩვენდა უნებურათ შეიქმნა.

მაგრამ ვერც ამ ნაბიჯით გადავარჩინეთ ამიერ-კავკასია მონობისაგან. ოსმალეთის იმპერიალისტებმა გადასწყვიტეს ბოლომდის ისარგებლონ იმ შემთხვევით, რომელიც ბოლშევიზმმა შექმნა და აგრეთვე ამიერ-კავკასიის სამხედრო ძალის სისუსტით. მასთან ერთათ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის მაჰმადიანთა შორის თავი იჩინა ბაქოს ამბების შედეგებმა. აქ დღითი დღე იზრდებოდა ოსმალეთისკენ სწრაფვა. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდენ მაჰმადიანთა ის ელემენტები, რომელთაც რევოლიუციის ხანაში დაკარგეს ბატონობა, მიწა და უფლებები. ამ ელემენტებმა თავის კონტრრევოლიუციონურ მიზნებისთვის ისარგებლეს მაჰმადიანთა მასის სულიერი მდგომარეობით.

შედეგი სამწუხარო რომელიც მოყვა ასეთ მდგომარეობას, ამიერ-კავკასიის დანაწილება იყო.

ამიერ-კავკასიის სამხრეთი ნაწილი, სადაც უმთავრესათ სომხები სახლობენ, ოსმალეთის ჯარმა დაიკავა. აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია მზათაა თავის ნებით აღიაროს სულთანი.

თავისუფლების ბაირაღი, ბაირაღი რევოლიუციის ახლა მხოლოდ დასავლეთ ამიერ-კავკასიის ნაწილში ფრიალებს. გადარჩენილი ოაზისია რევოლიუციის ქუთაისის და თფილისის გუბერნიები, ესე იგი

საქართველოს ისტორიული ტერიტორია. საქართველო, აი მხოლოდ ვინ გადარჩა ოსმალეთის კლანჭებიდან ამიერ-კავკასიაში.

საქართველოს ფართო მასა მიყვება ჩვენ პარტიას და მხოლოდ მისგან მოელის შველას. ამიტომ ჩვენი პარტია მოვალეა ყოველი ღონე მიიღოს დაიცვას საქართველოში მოსახლე ხალხთა თავისუფლება და ფიზიკური არსებობა. და ამ მოვლენამ ჩვენი პარტიის წინაშე დაბადა საკითხი ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის შექმნის ამიერ-კავკასიის იმ ნაწილში, რომელიც მტრის მონობას გადურჩა და ამ საკითხის გადაჭრა მოინდომა ჩვენმა პარტიამ 26 მაისს, როცა დადასტურდა ამიერ-კავკასიის მთლიანობის დარღვევა, როცა გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და შეიქმნა საქართველოს მთავრობა.

დაპატარავებულ სახელმწიფოებრივ ჩარჩოში ჩვენ განვაგრძობთ წარსულ რევოლიუციონურ მუშაობას, ერთგულათ ვემსახურებით ინტერნაციონალურ სოციალისტურ იდეას.

კერძოთ, აუცილებელ მოვალეობათ მიგვაჩნია შექმნილ მდგომარეობაში სომხის ხალხის ინტერესების დაცვა, რომელსაც ყველაზე უფრო დააწვა მტრის უღელი. არა ნაკლები გულმოდგინებით მოითხოვს ცხოვრება მაჰმადიანთა დაცვას მონობისგან. ასეთ მუშაობით ჩვენ ნიადაგს ვუმზადებთ ამიერ-კავკასიის ყველა ერთა შეერთებას.

ჩვენ ვიცით, რომ ასეთ მუშაობის აღსრულების დროს, ჩვენ მივალთ იმ გზით, რომელსაც ამდენ ხანს თქვენთან ერთად ვადექით და ამაზეა დამყარებული ჩვენი მტკიცე რწმენა იმისა, რომ ძველი იდეიური კავშირი, რომელიც გვაერთებდა ჩვენ, არ დასუსტდება იმ უბედურებით, რომელიც ისტორიამ არგუნა თქვენ და ჩვენ, რუსეთსა და ამიერ-კავკასიას. მაგრამ ჩვენ გვინდა, ამხანაგებო, რომ თქვენ სავსებით გაიგოთ ჩვენი მდგომარეობის ტრაგიზმი.

საქართველოს მთელი დემოკრატია ჩვენ პარტიას მისდევს. მხარეში არ არის მეორე პარტია, რომელსაც შეეძლოს შეგვეცილოს ჩვენ გეგემონიაში და გავლენაში. ამიტომ მთავრობიდან გასვლა და ძალაუფლების სხვის ხელში გადაცემა ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ გვიხდება ხალხთან ერთად ავიტანოთ ყველაფერი, დამცირებაც კი. თავისუფლების

და ფიზიკურ არსებობის საკითხმა საქართველოში შესაძლოა მომავალში მეტი მსხვერპლი მოითხოვოს ჩვენგან, მაგრამ რა გზითაც არ უნდა წაგვიყვანოს ისტორიამ, შეუცვლელი დარჩება ჩვენი საბოლოო მიზანი. და იმ მტკიცე შეგნებით, რომ ჩვენ საბოლოო მიზანს, სოციალიზმს, მივაღწევთ მხოლოდ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის შეკავშირებით, მთელ იმედებს ვამყარებთ მთელი ქვეყნის დემოკრატიის ბრძოლაზე.

თქვენ გამარჯვებებს რუსეთის თავისუფლების განმტკიცების საქმეში ჩვენ ვესალმებით დიდი სიხარულით. ყოველი თქვენი დამარცხება, ჩვენი დამარცხებაცაა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მუშაობაც საქართველოს და ამიერ კავკასიის თავისუფლების გასამტკიცებლათ მიიჩნიოთ როგორც ნაწილი თქვენი მუშაობის და ვფიქრობთ, რომ თქვენ მიხვდებით ჩვენ მდგომარეობას და ასე შეხედავთ ჩვენ მუშაობას.

—

ეს წერილი ივნისის დასაწყისში ჩააბარეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ამ მოწოდებას ხელს აწერს ამიერ-კავკასიის სოც. დემ. საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და ნაციონალური საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი (კაკი) წერეთელი.

ამიერ-კავკასიის სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების საოლქო კომიტეტმა ღია წერილით მიმართა რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს, რათა გაერკვია ყველა ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია ფორმალურათ ჩამოშორებოდა რუსეთს და გამოეცხადებია ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს წერილი, რომელიც საოლქო კომიტეტმა საგანგებო კაცის ხელით გაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს, ივნისის პირველ რიცხვებში დაიბეჭდა მენშევიკურ გაზეთებში და „ნოვაია ჟიზნიდან“ გადაბეჭდილ იქნა გერმანიის ს. დ. გაზეთ „ფორვერტს -ში. ეს მოხდა სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენი ამხანაგები მოლაპარაკებას აწარმოებდენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიასთან საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ,

გერმანიის სოციალ-დემოკრატია, განსაკუთრებით მისი დამოუკიდებელი ფრთა, საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებას უარყოფით შეხვდა, რადგან მან ამაში რუსეთის ს.-დემოკრატიის ღალატი დაინახა. აღნიშნულ წერილის „ფორვერსტ“-ში დაბეჭდვამ გერმანიის ს.-დ. შეხედულება ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიაზე ძირბუდიანათ შესცვალა. მათ ამ წერილიდან გაიგეს, თუ რა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაგდო ამიერკავკასიის ს.-დემოკრატიული პარტია, კავკასიიდან რუსეთის ჯარების წასვლამ და ბალშევიკების მუქარამ ერთის მხრით, ოსმალეთის საშიშროებამ და ამიერ-კავკასიის თათრების მუხანათობამ მეორე მხრით. ს.დემოკრატიულ პარტიას ერთად ერთი საშუალება შერჩა - საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება, ჩვენმა გერმანელმა ამხანაგებმა დაინახეს, რომ გარეშე ამისა ხსნა აღარ იყო. ამ წერილის შემდეგ ჩვენს წარმომადგენლებს თანაგრძნობით შეხვდა, როგორც გერმანიის სოც.-დემოკრატია საერთოდ, ისე დამოუკიდებელი ფრთა ამ პარტიისა და აღუთქვეს ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა შესაძლებლობის ფარგლებში.

გაზ. „სოციალ-დემოკრატი“ (ქუთაისი), 18 ივლისი 1918 წ., N 367, გვ.2-3